

Image not found or type unknown

კონცეფციამდე წასაკითხი

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ფრანგი მეზაღისა და დეკორატორის მიხეილ დ'ალფონსის თაოსნობით ბათუმის ბულვარის განაშენიანება დაიწყო. იმ დროიდან მოყოლებული ბათუმის ბულვარი ყველა იმ ამბის და მოვლენის მომსწრეა, რომელიც ბათუმის, როგორც ქალაქის განვითარებას ახლდა თან. ამ ხნის განმავლობაში ვინ არ ნახა ბულვარმა: რუსეთის და ოსმალეთის იმპერიები, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, ბათუმის ბრიტანული ოკუპაცია, საბჭოთა კავშირი და ამ კავშირის დაშლის შემდეგ ხელახლა დაბადებული დამოუკიდებელი საქართველო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის შემდეგ კი შეიძლება ბათუმის ძველი ბულვარის გარეშე დავრჩეთ.

არადა, ამბავი ბულვარის გარეშე დარჩენისა უცნაურად დაიწყო. 2015 წლის 9 ივნისს ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფციის შემუშავება-დაგეგმარების საერთო კომისია შექმნეს. კომისიის შექმნიდან ასი დღის თავზე მეორედ შეიკრიბნენ და დაადგინეს, რომ ბათუმის ბულვარის კონცეფციის შემუშავება-დაგეგმარებისათვის საჭირო კომპანია აუცილებლად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმით უნდა შერჩეულიყო. მერე რა რომ საქმე მრავალწლიანი შესყიდვას ეხებოდა. არანაირი კონკურსი. არანაირი საჯაროობა. სამაგიეროდ, 25 სექტემბერს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს წერილი მისწერეს, რომ აქაოდა გამარტივებული შესყიდვის იქით საშველი არ გვაქვსო. 1 ოქტომბერს შესყიდვის თანხის ოდენობაც აცნობეს. თანხა რა, სულ რაღაც 240000 ლარი. მინისტრმაც მეორე დღესვე თანხმობა მისცა (აბა საკითხის მოკითხვას და გარკვევას ხომ არ დაიწყებდა). მერე 6 ოქტომბერი, რომ მოვიდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ქვას რომ გახეთქავდა იმისთანა განკარგულება გამოსცა და 7 ოქტომბერს ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციამ ყველა რეკორდი მოხსნა. თანხმობის მიღებიდან ერთ დღეში კონტრაქტი შპს „სასტუმრო სანატორიუმ ოაზისთან“ გააფორმა.

ალბათ ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ მიმონერასა და სიჩქარეში, არავის უკითხავს რატომ უნდა შევცვალოთ ბათუმის ძველი ბულვარი. ის ბულვარი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, და ძეგლზე საუბრისას ნებისმიერი იდეა, კონცეფცია და დოკუმენტი ფუჭი ქალაქია, თუ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინტერესებს არ ემსახურება.

